



ბირთვული და რადიაციული
უსაფრთხოების სააგენტო



სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო ახორციელებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავებას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციასა და ინსპექტირებას, რადიოაქტიური ნარჩენების მართვასა და ბირთვულ ან/და რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას.

- ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოშობილი საჭიროებებისა და მოქმედი რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ შეიმუშავა კანონპროექტი - „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“. კანონპროექტის მოსალოდნელი ზოგადი შედეგი მარეგულირებელი რეჟიმის გაუმჯობესებაა მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით, რაც აუცილებელია ადამიანისა და გარემოს დასაცავად მაიონებული გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან.
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია აღნიშნული საქმიანობის ავტორიზაცია, რომელიც გულისხმობს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას. 2022 წელს რადიაციული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაცულობის ნორმებისა და მოთხოვნების სრული დაცვა გაიცა ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე 46 ლიცენზია, 76 ლიცენზიის მფლობელ ობიექტს მიეცა საქმიანობის გაფართოების უფლება, ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 57 ნებართვა მაიონებული გამოსხივების წყაროების იმპორტზე, ექსპორტზე, შეძენა და გადაცემაზე.
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირება კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. 2022 წლის იანვრიდან დღემდე სულ განხორციელდა 158 ინსპექტირება. აქედან 154 გეგმური და 4 არაგეგმური, როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პროფილის მქონე ობიექტებზე. 39 ორგანიზაციაში გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაზედაც შედგა 64 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი. არაგეგმური ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ორი არალიცენზირებული საქმიანობის ფაქტი.

2022 წელს სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელდა რეაგირება რადიოაქტიური წყაროს უკანონო ბრუნვის აღკვეთის 2 ფაქტზე და ათამდე რეაგირება - რადიოლოგიურ ინციდენტზე საზღვრებზე, საგანგებო სიტუაციებზე და მოსახლეობის მომართვის საფუძველზე.

- მობილური ლაბორატორიის გამოყენებით ჩატარდა გარემოს რადიაციული მონიტორინგისთვის საჭირო რადიოლოგიური გაზომვები კახეთის რეგიონში, გაზომვების შედეგებმა გვაჩვენა, რომ ბუნებრივი რადიონუკლიდების რაოდენობა ნორმის ფარგლებშია.
- საანგარიშო პერიოდში შემუშავდა დაბა ანასეულთან (გურია) განთავსებული ყოფილი ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების ინსტიტუტის რადიოლოგიურად დაბინძურებული ტერიტორიის გამოკვლევის შემდგომი საფეხურის გეგმა, შესაბამისად განხორციელდა აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული მოცულობების რადიოლოგიური კვლევები და ასევე ტერიტორიის შესწავლა გეორადარის მეშვეობით.

